

მიგელ დე უნამუნო

ბურუსი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2011

ბურუსი
მიგელ დე უნამუნო

Niebla
Miguel de Unamuno

წიგნი ითარგმნა ესპანეთის კულტურის სამინისტროს
წიგნის, არქივებისა და ბიბლიოთეკათა სამმართველოს
დაფინანსებით

Esta obra ha sido publicada con una subvención de la Direc-
ción General del Libro, Archivos y Bibliotecas



მთარგმნელი: ვლადიმერ ლუარსაბიშვილი
რედაქტორი: ნატალია ვაჩიშვილი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: სოფიო კველიშვილი

© 2011 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-066-8

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

შესავალი	5
პოსტპროლოგი.....	17
I.....	19
II.....	25
III.....	31
IV	34
V	39
VI	47
VII	53
VIII	56
IX	64
X	67
XI	73
XII	80
XIII	85
XIV.....	91
XV.....	99
XVI.....	105
XVII.....	110
XVIII.....	119
XIX.....	124
XX.....	132
XXI.....	141
XXII.....	147

XXIII.....	151
XXIV	164
XXV	171
XXVI	176
XXVII	180
XXVIII	184
XXIX	189
XXX	195
XXXI	202
XXXII	212
XXXIII	221
სამწუხარო სიტყვა ეპილოგის ნაცვლად	223

შესავალი

მიგელ დე უნამუნოს დაჟინებული მოთხოვნით ვწერ ამ წიგნის შესავალს, რომელშიც ჩემი ახლო მეგობრის – ავგუსტო პერესის საიდუმლო გარდაცვალების ამბავია. მე მხოლოდ მისი აღწერა შემიძლია, რადგან ბატონი უნამუნოს სურვილი ჩემთვის არის დავალება, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით. ჰამლეტური სკეპტიციზმის უკიდურეს ზღვრამდე მისვლის გარეშე, ჩემი ბეჩავი მეგობარი პერესის დარად, რომელიც საკუთარ არსებობაშიც კი იყო დაეჭვებული, მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ არ გამაჩნია ის, რასაც ფსიქოლოგები თავისუფალ ნებას უწოდებენ. თუმცა საკუთარი თავის სანუგეშოდ, ვფიქრობ, რომ იგივეს არის მოკლებული დონ მიგელიც.

ჩვენს ზოგიერთ მკითხველს შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს, რომ მე, რომლის სახელიც უცნობია ესპანური სალიტერატურო სამყაროსთვის, ვწერ შესავალს დონ მიგელის წიგნისთვის. როგორც წესი, ცნობილი ადამიანები წერენ შესავლებს ნაკლებად ცნობილთა წიგნებისათვის. სწორედ ამაზე შევთანხმდით დონ მიგელი და მე, რომ შეგვეცვალა ეს მავნე წესი და ტერმინთა მნიშვნელობა, რისთვისაც საჭირო გახდა, რომ უცნობს წარედგინა ცნობილი, რადგან, სინამდვილეში, წიგნებს შინაარსის გამო ყიდულობენ და არა შესავლის. ამგვარად, როდესაც ახალგაზრდა და დამწყები ლიტერატორი, ისეთი, როგორიც მე ვარ, მიზნად დაისახავს სახელის მოხვეჭას, იმის ნაცვლად, რომ ლიტერატურის ვეტერანს სთხოვოს შესავლის დაწერა, სჯობს თავად ითხოვოს რომელიმე წიგნისთვის წინასიტყვაობის დაწერის უფლება. ეს იქნება როგორც სირთულის დაძლევის,

ასევე ახალგაზრდებსა და მოხუცებს შორის არსებული მუდმივი დავის გადაჭრის გზა.

აღნიშნულს გარდა, დონ მიგელ დე უნამუნოსთან ბევრი სხვა რამ მაკავშირებს. პირველი ის არის, რის გამოზღუდვასაც ეს ბატონი აპირებს – იქნება ის ნოველა თუ *ნივოლა*¹ (ცხადია, რომ სიტყვა *ნივოლა* ჩემი მოგონილია) – სადაც გამოყენებულია არცთუ ცოტა ჩვენება თუ საუბარი, რომელიც ჩემსა და ავგუსტო პერესს შორის შედგა და აღწერილია ჩემი შვილის – ვიქტორსიტოს – გვიანი დაბადება, მეორე კი ისაა, რომ მე დონ მიგელის შორეული ნათესავი ვარ, მისი ერთ-ერთი წინაპარი ჩემი მოგვარეა, რაც ჩემი მეგობრის – სამეცნიერო წრეებში კარგად ცნობილი ანტოლინ ს. პაპარიგოპულოსის გენეალოგიური კვლევებიდან ირკვევა.

წინასწარ ვერ განვსაზღვრავ, მიიღებს თუ დაიწუნებს ამ *ნივოლას* საზოგადოება, რომელიც დონ მიგელის წიგნებს კითხულობს. გარკვეული პერიოდი ყურადღებით ვაკვირდები ბრძოლას, რომელიც დონ მიგელმა გამართა საზოგადოებრივ გულმართალობასთან და ფრიად განცვიფრებული ვარ მისი სიღრმითა და მიაშიტობით. Mundo Gráfico-სა² და ზოგიერთ სხვა მსგავს გაზეთში სტატიების გამოქვეყნების შემდეგ, დონ მიგელმა რევიონებიდან მიიღო წერილები და საგაზეთო ამონაჭრები, რომლებიც იმ მიაშიტობასა და უბრალოებას ადასტურებენ, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება ჩვენს ქვეყანაში. დღემდე მსჯელობენ მის მოსაზრებაზე, რომ ბატონი სერვანტესი (დონ მიგელი) არ იყო მოკლებული გარკვეულ მიაშიტობას და აღიზიანებდა უპატივცემულობა; სხვებს გული უჩუყდებათ მეღანქოლიურ ფიქრებზე ფოთოლცვენის შესახებ; ზოგი – აღფრთოვანებას განიცდის შეძახილით „ომი ომს!“ ეს ფრაზა აღმოხდა დონ მიგელს იმ მომავლავი ადამიანების განცდების ცქერისას, რომელთაც არ კლავდნენ. მეორდებოდა იშვიათი წინააღმდეგობრივი სიმართლეები, რომლებიც მან შეაგროვა კაფეებში,

1. უნამუნოს ნეოლოგიზმის „ნივოლა“ შესახებ იხ. გვ. 117.
2. იმ დროის ესპანური გაზეთი.

ლიტერატურულ წრეებსა და ლამის სათევებში, შემდეგ კი ეს ყველაფერი გამოაქვეყნა. მათში ასახული იყო გახრწნილი და ვულგარული გარემო, რომელსაც მისი შემქმნელები თავიანთ საკუთრებად მიიჩნევდნენ. აღშფოთებული დონ მიგელის აზრით, ლამის პეპელასაც კი გააჩნდა ღვარძლი. დონ მიგელი ზოგჯერ სიტყვა კულტურას დიდი K ასოთი წერდა, შემდეგ კი მომხიბვლელობის გამოგონების უნარს მიიწერდა და თავს უუნაროდ ცნობდა სიტყვათა თამაშისა და სიტყვების შესაქმნელად, რადგან ცნობილია, რომ ამ მიამიტი ერისთვის, მიამიტობა და მიმზიდველობა სწორედ აქამდე დაიყვანება: სიტყვათა სიტყვებმდე და თამაშამდე.

კიდევ კარგი, რომ ეს მიამიტი ერი ვერ აცნობიერებს დონ მიგელის რომელიმე სხვა ოინს და ხშირად მას ჭკვიან ადამიანად მიიჩნევენ. წერის დროს იგი ალალბედზე უსვამს ხაზს ზოგიერთ სიტყვას და ისე ფურცლავს გვერდს, რომ ვერ ამჩნევს, თუ სად გახაზა. როდესაც მან ეს მითხრა, ვკითხე, რატომ იქცეოდა ასე, რაზეც მიპასუხა: „აბა რა ვიცი!.. იმიტომ, რომ კარგ ხასიათზე დავდგი! პირუეტის შესასრულებლად! ჰო, და კიდევ იმიტომ, რომ მზეზრდება და ცუდ ხასიათზე მაყენებს ხაზგასმული და გამოკვეთილი სიტყვები! ეს ხომ მკითხველის შეურაცხყოფაა, თითქოს ჩლუნგი გგონია და ეუბნები: მიაქციე ყურადღება ამას, სწორედ ამაშია ჩანაფიქრი, ეს არის მთავარი! ამიტომ ვთავაზობ მე მათ ადამიანს, რომელიც დაწერდა მთელ სტატიას, როგორც მთლიან კურსს, მინდა საზოგადოებამ გააცნობიეროს, რომ ჩანაფიქრი არის პირველივე სიტყვებიდან ბოლომდე! ეს სხვა არაფერია, თუ არა ნაწარმოების პანტომიმა. გინდოდეს ჩანაცვლო მათში ყესიტით ის, რაც არ გამოიხატება აქცენტითა და ინტონაციით. და მიაქციე ყურადღება, მეგობარო ვიქტორ, უკიდურეს მემარჯვენეთა გაზეთებს, იმას, რასაც ინტეგრისიმოს³ ვუწოდებთ, და ნახავ, თუ რა ბოროტად

3. მე-19 ს-ის ბოლოს დაფუძნებული ესპანური პოლიტიკური პარტია, რომელიც ესპანური ტრადიციების ხელშეუხებლობას იცავდა.

იყენებენ კურსივს, კაპიტელს, დიდ ასოებს, ძახილის ნიშანს და ყველა ტიპოგრაფიულ საშუალებას. პანტომიმა, პანტომიმა, პანტომიმა! ასე მარტივია მათი გამოხატვის საშუალებები ან, უფრო სწორად, ასეთია მათი აღქმა, მკითხველების მიამიტი სიმარტივის მიერ. ამ მიამიტობას კი ბოლო უნდა მოელოს“.

სხვა დროს დონ მიგელისგან მსმენია, რომ ის, რასაც ჩვენში იუმორისტიკა ეწოდება, ჭეშმარიტი სახით ესპანეთში თითქმის არასდროს არსებულა და კიდევ დიდი ხანი არც არის მოსალოდნელი, რომ განვითარდება. მათგან, ვინც ჩვენში იუმორისტად იწოდება, ზოგი სატირიკოსია, ზოგი ირონისტი, ზოგი კი უბრალოდ გონებაშეხვეილი ადამიანი. მაგალითად, ტაბოადას⁴ რომ იუმორისტი უწოდო, ამ ტერმინის ბოროტად გამოყენება იქნება. არაფერია იმაზე ნაკლებად იუმორისტული, ვიდრე მომყავო, თუმცა ნათელი და გამჭვირვალე სატირა, მაგალითად, კევედოსი,⁵ რომელშიც მაშინვე ჩანს ჭკუის სწავლების სურვილი. იუმორისტი მხოლოდ სერვანტესი იყო და თავის წამოწევა რომ შეეძლოს, ბევრს იცინებდა მათზე, ვინც აღშფოთებულია იმით, რასაც მე გარკვეულ უპირატესობას ვანიჭებ, – მეუბნებოდა დონ მიგელი. ის იცინებდა მიამიტებზე, რომლებიც სერიოზულად აღიქვამენ მის ზოგიერთ ძალზე დახვეწილ ირონიას! რადგან უდავოა, რომ იგი ხუმრობდა – ხუმრობდა მეტად სერიოზულად. წიგნები რაინდების შესახებ კი დასცინოდა მის სტილს. ის „არასაკმაოდ ლაჟღაჟა ფებო და ა. შ.“ სტილის მოდელად წარმოგვიდგენს სერვანტესის ზოგიერთ გულუბრყვილობას, არ სცილდება სალიტერატურო ბაროკოზიმის მახვილგონიერ კარიკატურას. აღარაფერს ვამბობთ მოდიზმზე „განთიადის იქნებოდა,“ რომლითაც

4. ლუის ტაბოადა (1848-1906) – ესპანელი ჟურნალისტი, იუმორისტული და სატირული სტატიების ავტორი.

5. ფრანცისკო დე კევედო ი ველეგასი (1580-1645) – ესპანელი პოეტი, ნოველისტი, თეოლოგი, ისტორიკოსი და პოლიტიკოსი.

იწყება ახალი თავი, როდესაც წინა მთავრდება სიტყვით დრო.

ჩვენი საზოგადოება, როგორც ყველა მცირედ განათლებული, ბუნებრივად არის ეჭვიანი ისევე, როგორც მთელი ჩვენი ერი. ჩვენში არავის არ სურს იყოს მოტყუებული ან გასულელებული, და ამიტომ, როდესაც ესაუბრებიან, სურს იცოდეს, თუ რას დაეყრდნოს, ან სერიოზულად ეუბნებიან თუ ხუმრობენ. ვეჭვობ, სხვა ერისთვის ასე შემაწუხებელი იყოს იუმორისა და სიმართლის ნაზავი, როდესაც ზუსტად არ იცი, ნათქვამი ხუმრობაა თუ არა. რომელ ჩვენგანს შეუძლია გაუძლოს ამას? გაცილებით რთულია, რომ რიგითმა ეჭვნეულმა ესპანელმა გამიჯნოს ხუმრობით ნათქვამი სერიოზულისგან.

დონ მიგელს ტრაგიკული მასხარას საზრიანობა აქვს. მას ჩემთვის არაერთხელ უთქვამს, რომ სურს გარდაცვალებამდე მოასწროს და დაწეროს ტრაგიკული ბუფონადა, ან უხეში ხუმრობა, თუმცა არა ისეთი, რომელშიც ბუფონური, გროტესკული ან ტრაგიკული ერთმანეთში შეზავებული იქნება და არა უბრალოდ გვერდიგვერდ წარმოდგენილი. როდესაც ვუთხარი, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა ყველაზე გაფურჩქნული რომანტიზმი, მან მიპასუხა: „ამას არ ვუარყოფ, მაგრამ თუ საგნებს საკუთარ სახელებს დავარქმევთ, ამით სირთულეს ვერ გადავჭრით. ოც წელზე მეტი მივუძღვენი კლასიკოსთა სწავლებას, მაგრამ კლასიციზმი, რომელიც რომანტიზმის საწინააღმდეგოა, ვერ გავითავისე. ამბობენ, რომ განსხვავება, განსაზღვრება და განცალკევება ელიზური თვისებებია. ჩემი კი – განუსაზღვრელობა და აღრევაა.

ყოველივე ამის საფუძველი არის მხოლოდ იდეა, ან მეტი, ვიდრე იდეა – სიცოცხლის აღქმა, ამიტომაც ვერ ვბედავ ვუწოდო საკუთარ თავს პესიმისტი. თანაც ვიცი, რომ ეს სიტყვა არ მოსწონს დონ მიგელს. ეს არის მისი აჩემებული, მონომანიური აზრი, რომლის თანახმად, თუ მისი სული, სხვათა მსგავსად (და საგნებისაც), არ არის უკვდავი იმ მნიშვნელობით, რომელსაც გულისხმობდნენ შუა საუკუნეების მიაშიტი კათოლიკეები, მაშინ არაფერს აქვს ფასი და არ არსებობს ძალა, რომელიც ღირს

ტანჯვად. სწორედ აქედან იღებს სათავეს ლეოპარდის „მსოფლიო სევდის“ ფილოსოფია, ცხადია, მას შემდეგ რაც ინგრევა მისი უკიდურესი ტყუილი:

Ch'io eterno mi credei

მიგაჩნდეს თავი მარადიულად – სწორედ ამით აიხსნება ის, რომ დონ მიგელის სამი საყვარელი ავტორია: სენანკური,⁶ კენტალი⁷ და ლეოპარდი.⁸

მაგრამ ეს აღრეული⁹ მკაცრი და მძაფრი იუმორისტიკა ცოტა ვინმეს როდი აწუხებს. გარდა იმისა, ის გულს უკლავს ჩვენს ეჭვენულ ხალხს, რომელსაც სურს იცოდეს, საიდან მიმართავენ და რას დაეყრდნოს. მათ სურთ გაიცინონ, რომ ხელი შეუწყონ საქმლის მონელებასა და ნაღვლის გაქარვებას, და არა იმიტომ, რომ დაიბრუნონ ის, რაც უკანონოდ გადაყლაპეს, მოუნელებელია და ნაღველსაც ვერ შველის. დონ მიგელი ითხოვს, რომ თუ აუცილებელია ხალხის გაცინება, ეს უნდა მოხდეს არა იმიტომ, რომ დიაფრაგმის არათანმიმდევრულმა მოძრაობამ ხელი შეუწყოს მონელებას, არამედ იმიტომ, რომ ამოინთხეს ის, რაც ჩაყლაპეს, რადგან ცხოვრებისა და ქვეყნიერების მნიშვნელობა უკეთ ჩანს მუცლით, რომელიც მოკლებულია სასუსნავსა და ჭარბ საკვებს. ამას არც უღვარძლო ირონიით ვამბობ და არც მახვილგონიერი იუმორით. ნათქვამია, რომ იქ, სადაც არ არის ღვარძლი, არც ირონიაა. მახვილგონიერება კი ნაჩხუბარია იუმორისტიკასთან და მას სიამოვნებს, როცა ხასიათის გაფუჭებას უწოდებენ.

6. ეტიენ პივერ სენანკური (1770-1846) – ფრანგი მწერალი, ავტობიოგრაფიული ნოველის “Obermann” ავტორი.

7. ანტერო დე კენტალი (1842-1891) – პორტუგალიელი პოეტი.

8. ჯაკომო ლეოპარდი (1798-1837) – იტალიელი პოეტი, რომლის შემოქმედებაც ცხოვრებას პესიმისტური კუთხით განიხილავს.

9. უნამუნოს ნეოლოგიზმი (“confusionista”).